წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

ოქმი N1

ქ. წალკა; 13.01.26 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ***გოჩა ხაჩატურიან***

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა აბულაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალი ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარი ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე უშანგი ბოლქვაძე, ფრაქცია „ხალხის ძალის" თავმჯდომარე ბადრი ხოზრევანიძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის).

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:15 საათზე;

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ გოჩა ხაჩატურიანმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (9 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები. დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, ასევე სოციალურ საკითხთა კომისიებსა და საკრებულოს ფრაქციებს, სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 23 იანვრისა საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთბის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

2. სხდომის თავმჯდომარემ გოჩა ხაჩატურიანმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (9 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები. დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ასევე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიებსა და საკრებულოს ფრაქციებს, სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 23 იანვრისა საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთბის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი *გ.ხაჩატურიან*